

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## ცოდნა ძალაა



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
განვითარების სტრატეგიული გეგმა

2018-2024 წწ.

დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიურ  
საბჭოზე დადგენილება N01-05-04/69  
09.03.2018 წ  
შესწორებები შეტანილია სტუ-ს  
აკადემიურ საბჭოზე დადგენილება  
N01-05-04/81<sup>1</sup> 22.03.2019 წ;  
დადგენილება N01-05-04/266  
23.09.2019წ.

თბილისი

2018

## სარჩევი

1. შესავალი
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები
3. სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლები
4. სიტუაციური ანალიზი
5. SWOT ანალიზი
6. სტუ-ის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები 2018-2024 წწ.
7. სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები
8. სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი
9. განვითარების გეგმა 2018-2024 წწ.
10. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020 წწ.

## 1. შესავალი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – ავტონომიური, ფართოპროფილიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრი, ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპებით. იგი ორიენტირებულია როგორც საქართველოს, ისე ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა-განვითარებაზე. სტუ-ში რეალიზებული მულტიდისციპლინური პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს უსდ-ის ბოლონის პროცესში ინტეგრაციას ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით და, შესაბამისად, საერთაშორისო დონის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა თავისი მოღვაწეობის თითქმის ასწლიან პერიოდში ღირსეულად დაიკავა წამყვანი პოზიცია არა მარტო საქართველოს უნივერსიტეტებს შორის, იგი, აგრეთვე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში.

## 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები

**მისია:**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - მეცნიერების, განათლების, კულტურის უდიდესი ტრადიციების კერის, მისიაა მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხედვა:**

- სტუ-ს ხედვა დაფუძნებულია ქართულ და დასავლურ საუნივერსიტეტო კონცეპტუალიზებაზე რომელიც ეყრდნობა ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაციას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება საერთაშორისო გამოცდილების არა მარტო პასიური გაზიარება, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო მიღწევებში თანასწორუფლებიანი მონაწილეობა;

- სტუ-მ დღევანდელ საუნივერსიტეტო სივრცეში დაიმკვიდროს საკუთარი უნიკალური ადგილი, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ჰუმანურობის ეტოსის ჰიბრიდულ მოდელზე;
  - ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ინტელექტუალური ბაზისის შექმნა;
  - მაღალი სტანდარტის კვლევისა და სწავლების განხორციელებისათვის ახალი ორგანიზაციული ერთეულების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინსტიტუციური ქსელების ჩამოყალიბებას როგორც რეგიონულ, ისე ინტერნაციონალურ დონეზე. ახალი ორგანიზაციული ერთეულია სადოქტორო და სამაგისტრო ფაზის ფაკულტეტთაშორისი საუნივერსიტეტო სტრუქტურები (გრადუირებულთა სკოლები და კოლეგიები). მაღალრეიტინგულ მკვლევართა ჯგუფები - „ექსელენს კლასტერები“ (Excellent Cluster) და ცოდნის ტრანსფერის ხელშემწყობი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფს კვლევის ახალი თემების იდენტიფიკაციას, მათ სისტემურ ხელშეწყობას და გაძლიერებას;
  - ტრადიციული ორგანიზაციული ერთეულების (ფაკულტეტი, დარგობრივი დეპარტამენტი, სხვადასხვა ტიპის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვ.) მოდერნიზაცია და გაძლიერება, რადგან დარგობრივი და თემატური განვითარების მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია უსდ-ბის გამართული ფუნქციონირებისათვის, სწორედ ამ სტრუქტურებში ხორციელდება. იმაგდროულად, ტრადიციული სტრუქტურები მაქსიმალურად პოზიტიურად უნდა თანამშრომლობდნენ ახალ სტრუქტურებთან, რაც მეცნიერების განვითარების კომპლექსურობისა და დინამიკურობის წინაპირობაა. ასე რომ, მატრიცული ორგანიზაციის სხვადასხვა დონე და ვარიანტები თანამედროვე უნივერსიტეტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია;
  - ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევის განვითარება, რაც ხელს უწყობს ცოდნის ახალი ველის იდენტიფიცირებასა და განვითარებას.
- შესაბამისად, აუცილებელია ძველი და ახალი აკადემიური სტრუქტურების მდგრადობის შენარჩუნება და ურთიერთკოორდინაცია.

### ღირებულებები:

- უნივერსიტეტის ავტონომია ეფუძნება უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა ერთიანობას და მოიცავს როგორც გარეშე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლობას, ისე შიგა ავტონომიურობას;
- სტუ თავისუფალია სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ჯგუფებისა და ორგანიზაციების გავლენისაგან, მაგრამ ტოლერანტულად არის განწყობილი მათ მიმართ. ყოველი ამ ჯგუფის წარმომადგენელი თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ახორციელებს აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას მის წიაღში;
- აკადემიური თავისუფლება არის იდეა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების იმ სახეებს და შესაბამის პასუხისმგებლობათა რიგს, რომლებიც

განსაზღვრულია უმაღლესი სასწავლებლების, მათი მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სტუდენტებისთვის და, უპირველესად, კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის თავისუფლებას გულისხმობს. მეცნიერების პრიორიტეტულ სფეროებში ცოდნის საზღვრების გაფართოება უნდა ხორციელდებოდეს აკადემიური თავისუფლების, პროფესიული ეთიკისა და კოლეგიალურობის პრინციპების დაცვით;

- სტუ-სათვის, როგორც თავისუფალი აკადემიური სივრცისათვის, აუცილებელი კომპონენტია სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლისა და სწავლების პროცესში მუდმივად ვითვალისწინებთ უახლესი კვლევის შედეგებს, რაც სწავლას უფრო ღრმასა და მრავალფეროვანს გახდის, ასევე უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ დატვირთვას შესძენს სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს, ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის შედეგების ნაყოფიერ გამოყენებას საზოგადოებრივი დანიშნულებით და მათ ადაპტაციას სასწავლო პროგრამაში დასაწერად. ამავე დროს სტუდენტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული კვლევის პროცესების გაანალიზებაში;
- სტუ არის ადგილი სადაც საზოგადოება სწავლობს განუზღვრელ და არაპროგნოზირებად პირობებში ყოფიერებას, რასაც დღევანდელი ცხოვრება გვთავაზობს, გამოწვევების სახით „პოსტთანამედროვეობის“ ეპოქაში;
- თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სტუ-ის ყველა წევრის თანასწორობას სტუ-ის მართვასა და სასწავლო-კვლევითი პროცესის ორგანიზებაში. დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. ამ პრინციპის რეალიზება ძირითადად ხდება სტუ-ის წევრების მიერ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებაში თანასწორი მონაწილეობით.
- გამჭვირვალობის პრინციპი გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის ფინანსური საქმიანობის სრულ გამჭვირვალობას. თავის საქმიანობაში სტუ ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

### 3. სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლები

სტუ, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, დამოუკიდებლად განსაზღვრავს უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტებს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების, საზოგადოების, აკადემიური და სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებით.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად და მაღალტექნოლოგიური დარგების დაჩქარებული განვითარების მიზნით, სტუ-ის ყველა რესურსი ფოკუსირებულია საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსავითარებლად, რაშიც სტუ-ს აქვს მნიშვნელოვანი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მიღწევები, განვითარებული ინფრასტრუქტურა და, საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, კონკურენტუნარიანობის უპირატესობა.

უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებების განსავითარებლად და დასახული მიზნების მისაღწევად, სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის“ პრინციპების დაცვით, შემუშავებულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა“ 2018-2024 წლებისთვის, რომელიც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას (2018-2024 წწ.) საფუძვლად დაედო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021; საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ძირითადი სარეკომენდაციო დოკუმენტები; უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მისაღები ხარისხის განათლების უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (2016); უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და მასში შემავალი ყველა სტრუქტურული ერთეულის მისია, ხედვა და ღირებულებები; მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრისა და ქვეყნის აკადემიურ-ინტელექტუალური განვითარების მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან; სწავლების ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; დასაქმებაზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრების მომზადება; პროფესიული და უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სინთეზი; მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების (LLL) პრინციპის დაცვა; რეგიონალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; სტუ-ის საზოგადოებრივი, სოციალური და კულტურული როლის გაძლიერება და სახელმწიფოში უნივერსალური დემოკრატიული ღირებულებებისა და სამართალცნობიერების განვითარება; ცოდნის საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

#### 4. სიტუაციური ანალიზი

ქვეყნის სოციალური ინტეგრაციის, ეკონომიკური ზრდის, გლობალური კონკურენტუნარიანობისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობის საქმეში ხარისხიანი პროფესიული და აკადემიური უმაღლესი განათლება, კვლევა და ინოვაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამასთანავე, აღნიშნული კომპონენტები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის თანამედროვე სტანდარტების პრაქტიკაში რეალიზება და შესაბამისი კომპეტენციების მიღწევა მოითხოვს როგორც მთლიანად ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფას,

ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიებისა და მიდგომების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას.

ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს განათლების სისტემამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესა (EHEA) და კვლევით სივრცეში (ERA) ინტეგრირების, განათლების ხარისხის განვითარებისა და საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა: ამოქმედდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სწავლების სისტემა, დაინერგა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), დაიხვეწა შიგა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები, საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში მოვიდა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, დაიხვეწა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის სისტემა. შეიქმნა ახალი აკადემიური სტრუქტურები, რომლებიც მიმართულია აკადემიური საქმიანობის რეგიონალიზაციასა და ინტერნაციონალიზაციაზე და რომლებიც იმავდროულად გარკვეულ დარგებში ხელს უწყობს სწავლებისა და კვლევის ინტერდისციპლინური სისტემის განვითარებას. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ინტენსიურად დაინერგა და წარმატებით ხორცილდება ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები.

აღნიშნულთან ერთად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო „ტურიზის პროცესში“. ამ პროცესში მონაწილეობით სტუ-ს საშუალება მიეცა ყოველწლიურად გააუმჯობესოს შედეგები პროფესიული განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების კუთხით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ზრუნავს, რომ პროფესიული განათლება აღარ განიხილებოდეს, როგორც ვიწრო პროფესიული ცოდნისა და უნარების განმავითარებელი სფერო, არამედ როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, თვითრეალიზაციის, სოციალური კეთილდღეობის, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი სისტემა. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განათლების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობისა და კერძო სექტორის მონაწილეობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცის სიტუაციური ანალიზი გვარწმუნებს, რომ დასაქმებასა და შრომის ბაზარზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სტუდენტის ჩართულობა სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაში. ამ კუთხით სტუ ითვალისწინებს სტუდენტისათვის ისეთი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების ორგანიზებას, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემს შეამოწმოს, დახვეწოს და განავითაროს ცოდნა და უნარები, შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს დაუახლოოს აკადემიურ გარემოში შემენილი კომპეტენციები, გაითავისოს მომავალ შრომით საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობები და გამოწვევები, თანასწორ შესაძლებლობათა პირობებში თავისუფალ შრომის ბაზარში ჩაერთოს, როგორც კონკურენტუნარიანი სუბიექტი.

აღნიშნულთან ერთად წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს სტუ-ის ინფრასტრუქტურის განვითარება; საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება; სტუდენტისა და პერსონალისთვის კომფორტული სასწავლო, საკვლევო და სამუშაო გარემოს შექმნა; უმაღლესი განათლების სისტემაში ახალგაზრდის მოზიდვის მექანიზმის ამოქმედება; წარმატებული პროფესორ-მასწავლებლებისთვის წახალისების „ბონუსების“ სისტემის დანერგვა და სხვა.

წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, დღეისთვის უნივერსიტეტში მაინც არსებობს არაერთი გადასაწყვეტი საკითხი, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-მოდულიზაციის პროცესში სტუდენტის, კურსდამთავრებულისა და დამსაქმებლის ნაკლები ჩართულობა; სამეცნიერო კომპონენტის საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირების სირთულე; უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და, აგრეთვე, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის არასაკმარისად აქტიური ჩართულობა კვლევისა და სწავლების პროცესში; სახელმწიფოს მხრივ პროგრამული დაფინანსების სიმწირე, უნივერსიტეტის საბაზო დაფინანსების არარსებობა და სხვა.



## 5. „SWOT“ ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ განათლების სფეროში უდიდესი ტრადიცია, ბრენდის იმიჯი და რეპუტაცია;</li> <li>➤ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური აკადემიური, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალი;</li> <li>➤ მსხვილ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში კოლაბორაცია;</li> <li>➤ უმაღლესი განათლების სამივე საფეხურისთვის აკრედიტებული/ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამები როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე;</li> <li>➤ პროფესიული განათლების ხელშეწყობა;</li> <li>➤ თანამედროვე ცენტრალიზებული საგამოცდო ცენტრები;</li> <li>➤ სტუდენტების ხელშეწყობის ონლაინ მექანიზმები;</li> <li>➤ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება;</li> <li>➤ უდიდესი ტრადიციების მქონე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;</li> <li>➤ თანამედროვე საექსპერტო მომსახურების ცენტრები;</li> <li>➤ კაპიტალური შენობა-ნაგებობები და მათი ხელსაყრელი მდებარეობა;</li> <li>➤ მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;</li> <li>➤ ბიბლიოთეკის უნიკალური წიგნადი ფონდისა და ელექტრონული კატალოგის არსებობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სასწავლო პროგრამების შედგენასა და განვითარებაში დამსაქმებლების ჩართულობის არამასშტაბურობა;</li> <li>➤ უცხოელ სტუდენტთა მხრივ საგანმანათლებლო მომსახურებაზე დაბალი მოთხოვნილება;</li> <li>➤ სტუდენტური სოციალური ინფრასტრუქტურის (საერთო საცხოვრებლების) არარსებობა;</li> <li>➤ მაღალი საშუალო ასაკი;</li> <li>➤ საერთაშორისო პროექტებში ზოგიერთი ფაკულტეტის ჩართულობის დაბალი მაჩვენებლები; ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევების არასისტემურობა;</li> <li>➤ სწავლების პროცესში დოქტორანტების ჩართულობის დაბალი მაჩვენებლები;</li> <li>➤ არასაკმარისი დაფინანსება კომერციალიზაციის განსავითარებლად.</li> </ul>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა;</li> <li>➤ საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;</li> <li>➤ სტუდენტური პროექტების რეალიზება ინოვაციური ლაბორატორიების ბაზაზე;</li> <li>➤ მატერიალური ბაზის სრულყოფა; სტუდენტთა კარიერული ცენტრის შექმნა;</li> <li>➤ ორმაგი ხარისხის მინიჭება - დოქტორანტურა - მაგისტრატურა;</li> <li>➤ დოქტორანტურის და კვლევითის კლასტერები;</li> <li>➤ თემაზე ორიენტირებული სწავლება;</li> <li>➤ ინოვაციური კლასტერები;</li> <li>➤ სასწავლო-კვლევით პროცესში უცხოელი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის სიმწირე საბაზისო დაფინანსების არარსებობისა და დაბალი პროგრამული დაფინანსების გამო.</li> </ul>

## 6. სტუ-ის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები

I პრიორიტეტული მიმართულება - ინსტიტუციური განვითარება;

II პრიორიტეტული მიმართულება - ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება;

III პრიორიტეტული მიმართულება - სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა;

IV პრიორიტეტული მიმართულება - საგარეო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

განვითარების სტრატეგიული მიზნები	
სტრატეგიული მიზანი 1	მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება
სტრატეგიული მიზანი 2	ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება
სტრატეგიული მიზანი 3	სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვა
სტრატეგიული მიზანი 4	ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდა ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებით
სტრატეგიული მიზანი 5	სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეებში ინტეგრაცია
სტრატეგიული მიზანი 6	შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, პროფესიული კადრების მომზადების უზრუნველყოფა
სტრატეგიული მიზანი 7	მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განვითარება
სტრატეგიული მიზანი 8	სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა
სტრატეგიული მიზანი 9	სტუდენტური სერვისების განვითარება
სტრატეგიული მიზანი 10	ინტერნაციონალიზაციის ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა
სტრატეგიული მიზანი 11	საზოგადოებასთან კავშირის განვითარება

## I პრიორიტეტული მიმართულება - ინსტიტუციური განვითარება

ინსტიტუციური განვითარების მთავარი პრიორიტეტია ახალი აკადემიური სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული მიმართველობის სისტემების ახალი მოდელების დაგეგმვა და განვითარება. აღნიშნული პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ევროპული სტანდარტების გათვალისწინება, ერთი მხრივ, საფუძველს უყრის უნივერსიტეტში სასწავლო-კვლევითი პროცესის წარმართვისა და ადმინისტრირების ახლებურ სტრუქტურებს და, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ამ სტრუქტურების ადაპტირებას სტუ-ში უკვე ტრადიციულად დამკვიდრებულ ინსტიტუციურ მოწყობასთან.

ინსტიტუციური განვითარების დასახული პრიორიტეტის შესაბამისად უნივერსიტეტი, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურა ქმნის საქმიანობის წარმართვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ რაციონალურ და შედეგიან მექანიზმებს, საგანმანათლებლო, სამეწარმეო, საფინანსო, ადამიანური რესურსების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასახულია პრიორიტეტული მიმართულებების მიზნები და ამოცანები:

### მიზანი 1

#### მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება

##### ამოცანები:

- უნივერსიტეტის ორგანიზაციული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების მიზნით, მართვის ხარისხის სისტემის დანერგვა ISO-ს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად;
- უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის არაკადემიურ თანამდებობათა ფარდობითი ღირებულებების დადგენა, კლასიფიცირების მეთოდოლოგიის შედგენა-განახლება;
- უნივერსიტეტის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის განვითარება და შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფა;
- მონიტორინგის სისტემის შიგა მექანიზმების დანერგვა და შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფა.

### მიზანი 2

#### ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება

##### ამოცანები:

- ადამიანური რესურსების მიზნობრივად გამოყენება უნივერსიტეტის მართვის საქმიანობაში;
- აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარება;
- ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- კომერციალიზაციის მასშტაბის ზრდა.

### მიზანი 3

#### სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვა

##### ამოცანები:

- ყოველწლიური მისაღები კონტინგენტის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა;
- სტანდარტების შესაბამისად სტუდენტთა კონტინგენტის, ადამიანური და მატერიალური რესურსების თანაფარდობის სრულყოფა.

### მიზანი 4

#### ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდა ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებით

##### ამოცანები:

- საბიბლიოთეკო მომსახურების მოდერნიზაცია და განახლება;
- ექსპერიმენტული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ლაბორატორიების განახლება-შექმნა;
- კვებისა და ჯანდაცვის ობიექტების რეორგანიზაცია;
- უძრავი და მოძრავი ქონების განახლება და მათი მიზნობრივი გამოყენების პოლიტიკის შემუშავება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის, ასევე პერსონალისათვის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობაში მოყვანა;
- მედიაარქივის შექმნა.

## II პრიორიტეტული მიმართულება - ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის პრინციპს. იმავდროულად, მნიშვნელოვანია საგნებზე ორიენტირებულის ნაცვლად თემებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება რეგიონულ და ინტერნაციონალურ დონეზე სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან საშუალო და გრძელვადიანი კვლევითი, მათ შორის კოლაბორაციული კვლევითი პროექტების საფუძველზე.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური წინსვლისათვის აუცილებელია კვლევების ინოვაციური არეალის გაფართოება, კვლევითი საქმიანობის ორიენტირება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, პრაქტიკული ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასახული არის შემდეგი მიზნები და ამოცანები:

### მიზანი 5

#### სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეებში ინტეგრაცია

#### **ამოცანები:**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- სასწავლო პროგრამების საერთაშორისო პროგრამული აკრედიტაციის დანერგვა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია;
- ხარისხის გაზრდის მიზნით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებისათვის სწავლების მეთოდების დანერგვა და განვითარება.

### **მიზანი 6**

#### **შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადების უზრუნველყოფა**

#### **ამოცანები:**

- შრომის ბაზრის მოთხოვნაზე დაფუძნებული პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
- პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

### **მიზანი 7**

#### **მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განვითარება**

#### **ამოცანები:**

- სტუ-ის სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის კვლევითი ცენტრის უწყვეტი განათლების და სოციალური კვლევის ცენტრად რეორგანიზება;
- უწყვეტი განათლების როგორც მასობრივი, ისე მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიის შექმნა და საუნივერსიტეტო საქმიანობაში მისი პრაქტიკულად გამოყენება;
- კვლევაზე დაფუძნებული უწყვეტი საპილოტე პროგრამების მომზადება, აპრობაცია და გავრცელება;
- შრომისა და განათლების ბაზრის პერმანენტული კვლევა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მიზნობრივი სწავლება უწყვეტი განათლების აპრობირებული მეთოდების გამოყენებით.

### **მიზანი 8**

#### **სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა**

#### **ამოცანები:**

- უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის მიზნით ადგილობრივ და მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კავშირების განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანი ადმინისტრირება;

- პლაგიატის ფაქტების გამოვლენისა და თავიდან აცილების მექანიზმების განვითარება.

### **III პრიორიტეტული მიმართულება - სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა**

სტუ-ის აკადემიურ საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება. სტუდენტური თვითმმართველობის დასავლური სტანდარტების მიხედვით რეფორმირება (მაგალითად, სტუდენტური პარლამენტის დაფუძნება და ამის საფუძველზე უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტების ჩართულობის ხარისხის ამაღლება);

#### **მიზანი 9**

#### **სტუდენტური სერვისების განვითარება**

##### **ამოცანები:**

- სტუდენტთა ინდივიდუალური უნარების შესწავლა;
- სტუდენტთა ჩართულობა უნივერსიტეტის მართვასა და საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა-დახვეწის პროცესში;
- სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და გრანტებში სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ზრდა;
- შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტების მხარდაჭერა;
- მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა წახალისება;
- სტუდენტური აქტივობების, სტუდენტური ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პროექტებისა და იდეების კოორდინაცია და შესაბამის სტრუქტურებთან მათი ინტერესების დაცვა.

### **IV პრიორიტეტული მიმართულება - საგარეო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა**

სტუ-ის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა. სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარება, როგორც ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის საერთაშორისო ხილვადობის გაზრდა, გაძლიერება.

უნივერსიტეტი მიისწრაფვის მოიპოვოს ცნობადობა და დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, როგორც ხელმისაწვდომმა, ხარისხიანი განათლების უზრუნველმყოფმა უმაღლესმა სასწავლებელმა.

აღნიშნული პრიორიტეტის შესაბამისად განსაზღვრულია საგარეო ურთიერთობების განვითარებისა და ინტერნაციონალიზმის ხელშეწყობის მიზნები და ამოცანები.

## მიზანი 10

**ინტერნაციონალიზაციის ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა**  
ამოცანები:

- მსოფლიოს წამყვან აკადემიურ ორგანიზაციებთან (უსდ-ები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები) საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელების გაფართოება, ახალი პარტნიორული და კოლაბორაციული ურთიერთობების დამყარება და არსებული ურთიერთობების განვითარება, რაც გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობას;
- საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა. კოლაბორაციული კვლევითი პრაქტიკის დანერგვა;
- უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა;
- საერთაშორისო რანჟირების პროფესიულ სისტემებში უნივერსიტეტის სარეიტინგო მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით საკითხების ინიცირება და სარეკომენდაციო დოკუმენტის შემუშავება.

## მიზანი 11

**საზოგადოებასთან კავშირის განვითარება**

ამოცანები:

- ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება;
- საზოგადოებაში ცოდნის გავრცელება;
- უნივერსიტეტის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების ინფორმაციული უზრუნველყოფა-მართვა.

## 7. სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

**ადამიანური რესურსები:**

- ადმინისტრაციული პერსონალი – 60;
- აკადემიური პერსონალი – 1165;
- მოწვეული მასწავლებლები – 401;
- დამხმარე პერსონალი – 514;

**მატერიალური რესურსები:**

- შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი - 211 899 მ<sup>2</sup>;
- შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება – 39 056 982 ლარი;
- სხვა მატერიალური რესურსები – 33 097 471 ლარი;

➤ მცირეფასიანი ინვენტარი – 4 323 620 ლარი.

ფინანსური ანალიზი:

2013-2017 წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა

დასახელება	2013 წ	2014 წ	2015 წ	2016 წ	2017 წ
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	39 000	4 189 323	9 656 915	12 089 656	12 949 104
მიმდინარე წლის შემოსავალი	45 627 042	64 830 150	63 323 869	60 426 015	64 285 157
შემოსავლები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	45 666 042	69 019 473	72 980 784	72 515 580	77 234 261
აქედან:					
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	3 603 350	3 146 546	6 063 821	6 442 604	6 427 290
სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავალი	35 386 541	47 022 579	45 797 130	48 992 436	49 136 742
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	6 676 151	18 850 348	21 119 833	17 080 540	21 670 229

2013-2017 წლების ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკა

დასახელება	კოდი	2013 წ	2014 წ	2015 წ	2016 წ	2017 წ
სულ გადასახდელები		45 666 042	69 019 473	72 980 784	72 515 580	77 236 012
შრომის ანაზღაურება	21	23 682 701	31 668 378	34 536 285	33 547 104	31 969 169
საქონელი და მომსახურება	22	14 861 960	15 853 908	20 279 198	23 886 560	23 431 943
მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	8 251 906	7 537 095	11 938 072	14 078 652	14 205 071
სხვადასხვა ხარჯები		7 121 381	21 497 187	18 165 301	15 081 916	21 834 900



## 8.სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი

პერსპექტიული განვითარების სამსახურში შეიქმნა სტუ-ს პერსპექტიული განვითარების გეგმების ფორმირების კოორდინაციის და შესრულების სისტემური ანალიზის განყოფილება.

გემის შესრულების ანალიზი წარმოებს შემდეგი მექანიზმების მიხედვით:

-PDCA ციკლი;

- „ბენჩმარკინგი“ - პროცესი, რომლის საშუალებით სტუ პერმანენტულად ახორციელებს საკუთარი მახასიათებლების შედარებას საუნივერსიტეტო სივრცის ლიდერებთან მსოფლიო მასშტაბით და ახდენს თვითშეფასებას, რათა მიიღოს საკუთარი მახასიათებლების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია.

- PEST-ანალიზი წარმოადგენს პოლიტიური (Political), ეკონომიკური (Economical), სოციალური (Social) და ტექნოლოგიური (Technological) ანალიზის მეთოდოლოგიას, ის გამოიყენება ამ ოთხი გარე ფაქტორის საუნივერსიტეტო საქმიანობის ურთიერთკავშირის შესაფასებლად. PEST-ანალიზით უნდა განსაზღვროთ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენის არეალი სტუ-ს გრძელვადიან საქმიანობაზე.

გეგმის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რომელიც ყოველწლიური გეგმების შესაბამისად ისმენს საკითხთა შესრულებას და ახდენს სათანადო რეაგირებას.

სამოქმედო გეგმა

2018–2020 წწ.

I პრიორიტეტული მიმართულება ინსტიტუციური განვითარება					
მიზანი #1 - მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება					
ამოცანები	აქტივობები	პასუხისმგებელი სტრუქტურები	შესრულების ვადა	ფინანსური რესურსები	განხორციელების ინდიკატორები
ამოცანა 1.1 უნივერსიტეტის ორგანიზაციული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების მიზნით, მართვის ხარისხის სისტემის დანერგვა ISO-ს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად	<ul style="list-style-type: none"> <li>• უნივერსიტეტის და მასთან მიერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ცენტრების ერთიან კომპლექსად ქცევის საგზაო რუკის ორგანიზება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პერსპექტიული განვითარების სამსახური</li> <li>• კომერციალიზაციის დეპარტამენტი</li> <li>• მეცნიერების დეპარტამენტი</li> <li>• სწავლების დეპარტამენტი</li> <li>• საფინანსო-საგეგმო დეპარტამენტი</li> </ul>	2019 II კვარტალი	• არ საჭიროებს დაფინანსებას	• საუნივერსიტეტო კომპლექსის საგზაო რუკის განხორციელების შედეგად მართვის, სწავლების, მეცნიერების და კომერციალიზაციის სფეროში მიღწეული შედეგები
	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და სამტატო ნუსხის სრულყოფა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საერთაშორისო ურთიერთობების და სტანდარტების სამსახური</li> <li>• ფაკულტეტების ხელმძღვანელები/მენეჯერები</li> <li>• სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი</li> <li>• საგეგმო -საფინანსო დეპარტამენტი</li> </ul>	2019 I -II კვარტალი	• არ საჭიროებს დაფინანსებას	• სტუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურის და სამტატო განრიგის ოპტიმალური რაოდენობის განმსაზღვრელი დოკუმენტები
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიზნების, ამოცანების და კომპეტენციათა ზუსტი გაწერა-განაწილება, პერსონალური</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების</li> </ul>	2018-2020	• არ საჭიროებს დაფინანსებას	• დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციები

	მოვალეობების სრულყოფილი აღწერა	სამსახური			
ამოცანა 1.2 უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის არაკადემიურ თანამდებობათა ფარდობითი ღირებულებების დადგენა-კლასიფიცირების მეთოდოლოგიის შედგენა-განახლება, ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"> <li>არაკადემიური თანამდებობის კლასიფიცირებისათვის შესაბამისი კითხვარების შემუშავება</li> <li>-კითხვარების მიხედვით მიღებული შედეგების ანალიზი და მეთოდიკის დამუშავება</li> <li>შემუშავებული მეთოდიკის საფუძველზე თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და რეალურ საქმიანობას შორის შეუსაბამობის გამოვლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური</li> <li>სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი</li> </ul>	2019	არ საჭიროებს დაფინანსებას	<ul style="list-style-type: none"> <li>შემუშავებული მეთოდიკის საფუძველზე თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და რეალურ საქმიანობას შორის შეუსაბამობის გამოვლენა</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ანალიზი -მიღებული შედეგების შესაბამისად ორგანიზაციული სტრუქტურების დიზაინის შეცვლა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური</li> </ul>	2018-2020	არ საჭიროებს დაფინანსებას	<ul style="list-style-type: none"> <li>ანალიზის შედეგად შესაბამისი ცვლილებების განხორციელება</li> </ul>
ამოცანა 1.3 უნივერსიტეტის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის განვითარება	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუ-ს II, III და IV კორპუსში 3 დონის ცენტრალური მოწყობილობების დამატება</li> <li>საკომუნიკაციო კარაღებიც მონტაჟი</li> <li>ამორტიზირებული მართვადი და არამართვადი კომპუტატორების გამოცვლა</li> <li>ქსელის გაფართოების სამუშაოები სტუ-ს ყველა კორპუსში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>რექტორი</li> <li>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი</li> </ul>	2019 წ I-III კვარტალი	სტუ-ის შემოსავლებიდან 3000 ლ2019 წ	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუ-ს 4 კორპუსში შეცვლილი 27 ქსელის კომპუტატორი და დამატებული 4 საკომუნიკაციო კარადა</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>მე-6 კორპუსის ქსელის ბირთვსა და მე-2 კორპუსს შორის უსადენო საჰაერო მაგისტრალური არხის მოწყობა 1 გბ/წმ სიჩქარის ანტენით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>რექტორი</li> <li>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი</li> </ul>	2019 წ II კვარტალი	სტუ-ის შემოსავლებიდან 2000 ლ2019წ	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუ-ს მე-6 და მე-2 კორპუსში დამონტაჟებული უსადენო მაგისტრალური ანტენები.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>ქსელური პროგრამული სისტემების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>რექტორი</li> </ul>		სტუ-ის	<ul style="list-style-type: none"> <li>შემენილი</li> </ul>

	<p>შეძენა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შეძენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>• კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი</li> </ul>		<p>შემოსავლებიდან 10000 ლ 2019 წ</p>	<p>ცენტრალიზებული ანტივირუსული სისტემა 800 მომხმარებელზე,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 3 პერსონალური კომპიუტერი ქსელის ადმინისტრირების ჯგუფისთვის</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუ-ს აკადემიური პერსონალის CV-ების და სამეცნიერო შრომების განთავსება ვებ გვერდზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი</li> </ul>	<p>2020 წ I-III კვარტალი</p>	<p>სტუ-ის შემოსავლებიდან 4500 ლ 2019 წ</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუ-ს ვებ გვერდზე განთავსებულია აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცია.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• უსადენო წვდომის წერტილების შეძენა და დაფარვის ზონების გაზრდა და მოძველებული AP-ის ჩანაცვლება მათი ნაკლებად დატვირთულ, პერიფერულ ადგილას გამოყენება</li> <li>• ყველა საბიბლიოთეკო და საკონფერენციო სივრცის და შეხვედრების ოთახების სრული დაფარვა</li> <li>• EDU-ROAM-ში შარტვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>• კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი</li> </ul>	<p>2020 წ I-III კვარტალი</p>	<p>სტუ-ის შემოსავლებიდან 30000 ლ 2019 წ</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუს უსადენო ქსელი გაიზრდება 20%-ით, საკონფერენციო და საბიბლიოთეკო სივრცე დაიფარება 100%-ით.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქსელური პროგრამული სისტემების შეძენა კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შეძენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>• კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი</li> </ul>	<p>2020 წ III კვარტალი</p>	<p>სტუ-ის შემოსავლებიდან 12000 ლ 2019 წ</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეძენილი ცენტრალიზებული ანტივირუსული სისტემა, ქსელის პერიფერიული მოწყობილობები.</li> </ul>

<p><u>ამოცანა 1.4</u> მონიტორინგის სისტემის შიდა მექანიზმების დახვეწა და შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების პერსონალზე განსაზღვრული ფუნქციების ეფექტური შესრულება, შეფასებისათვის საჭირო მაჩვენებლების განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონიტორინგის დეპარტამენტი</li> <li>• აუდიტის სამსახური</li> </ul>	<p>2018 IV კვარტალი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფუნქციების შესრულების და შეფასების განმსაზღვრელი დოკუმენტი</li> </ul>
<p><b>მიზანი #2 - ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება</b></p>					
<p><u>ამოცანა 2.1</u> ადამიანური რესურსების მიზნობრივად გამოყენება უნივერსიტეტის მართვის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უნივერსიტეტის მისიის და მიზნების საფუძველზე საკადრო პოლიტიკის რეფორმირება</li> <li>• ძირითადი საქმიანობის პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის გეგმების შემუშავება</li> <li>• მომავლის პედაგოგიური რესურსების განვითარება ქვეყნის საინჟინრო პროფესიის სამუშაო ძალის მომზადების უზრუნველსაყოფად</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიცე რექტორი</li> <li>• ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>• ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>• ინფრასტრუქტურის მართვის და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</li> <li>• სწავლების დეპარტამენტი</li> <li>• საფინანსო-საგეგმო დეპარტამენტი</li> <li>• აღრიცხვა-ანგარიშების დეპარტამენტი</li> <li>• პროფესიული გადამზადების ცენტრი</li> <li>• სწავლების დეპარტამენტი</li> </ul>	<p>2018-2020</p> <p>2019 წლის I კვარტალი</p> <p>2018-2020</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ საჭიროებს დაფინანსებას</li> <li>• არ საჭიროებს დაფინანსებას</li> <li>• არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რეფორმირებული საკადრო პოლიტიკის შედეგები</li> <li>• უწყვეტობის უზრუნველყოფის გეგმა</li> <li>• მომზადებულ პედაგოგთა რაოდენობა</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>პერსონალის საქმიანობის თვითშეფასების წესის დანერგვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური</li> </ul>	2018-2020	<ul style="list-style-type: none"> <li>არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თვითშეფასების წესის დანერგვის შედეგად პერსონალის თანამდებობრივი შესატყვისობის დადგენა</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>კომისიური და ღიაობის პრინციპის დაცვით უნივერსიტეტის მმართველობაში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ჩართულობის მექანიზმის დახვეწა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ვიცე რექტორი</li> <li>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი</li> <li>სტუდენტური თვითმმართველობა</li> </ul>	2018-2020	<ul style="list-style-type: none"> <li>არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>უნივერსიტეტის მმართველობაში ჩართული აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა რაოდენობა</li> <li>გამოკითხვის შედეგები</li> </ul>
<p><u>ამოცანა 2.2</u> აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების წესის შემუშავება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუ-ს ადმინისტრაცია</li> <li>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</li> <li>ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი</li> </ul>	2019 წლის II კვარტალი	<ul style="list-style-type: none"> <li>დაფინანსებას არ საჭიროებს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიული განვითარების წესის დანერგვით მიღებული შედეგები</li> </ul>
<p><u>ამოცანა 2.2</u> ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>ფინანსების მართვის მოდელის ცვლილება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვასა და განაწილებას, ეფექტიანობას და რაციონალიზაციას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტი</li> </ul>	2019 IV კვარტალი	<ul style="list-style-type: none"> <li>არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუ-ის ბიუჯეტის ეფექტურობის და პროდუქტიულობის ზრდის მაჩვენებლები</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის, პასუხისმგებლობის გადანაწილების, დარეგულირების და ანგარიშვალდებულების წესის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტი</li> <li>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> </ul>	2018 IV კვარტალი	<ul style="list-style-type: none"> <li>არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუ-ის ბიუჯეტის ეფექტურობის და პროდუქტიულობის ზრდის მაჩვენებლები</li> </ul>

	ჩამოყალიბება				
	• რისკების მენეჯმენტის სისტემის შემუშავება. (შესაბამის თანამშრომელთა გადამზადება/ტრენინგი)	• ადმინისტრაციის ხელმძღვანელი • საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტი • სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი	2019 წლის I-II	• სტუ-ის შემოსავლებიდან 3000 ლარი 2019 წ	• სტუ-ის ბიუჯეტის ეფექტურობის და პროდუქტიულობის ზრდის მაჩვენებლები
ამოცანა 2.3 კომერციალიზაციის მასშტაბების გაზრდა (ბაზრის ახალი სეგმენტის შექმნის მიზნით საინოვაციო პროექტების მხარდაჭერა)	• სინთეზური საწვავის მიღების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა	• მიკროპლასტიკური და საზომი სისტემების დეპარტამენტი • კომერციალიზაციის დეპარტამენტი	2019-2020	• სტუ-ის შემოსავლებიდან 27000 ლარი 2019 წ	• კლასტერი „სწავლა-მეცნიერება-წარმოება“ შექმნა
	• ლითონების შესადუღებელი აპარატის საცდელი ნიმუშების შექმნა (დენის ქსელთან მიერთების გარეშე)	• მიკროპლასტიკური და საზომი სისტემების დეპარტამენტი • კომერციალიზაციის დეპარტამენტი	2019-2020		• კლასტერი „სწავლა-მეცნიერება-წარმოება“ შექმნა
	• ხელოვნური აღმასებისა და ახალი ზემადალი კომპოზიციური მასალებისაგან დამზადებული ინსტრუმენტების წარმოება	• სტუ-ის აღმასისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრი • კომერციალიზაციის დეპარტამენტი	2019	• კლასტერი „სწავლა-მეცნიერება-წარმოება“ შექმნა	
	• მავნე გაზების აღმოსაჩენი დეტექტორის მეტროლოგიური მახასიათებლების განსაზღვრისათვის ექსპერიმენტალური სტენდის დამზადება და დამუშავება (პირველი ეტაპი)	• პერსპექტილი განვითარების სამსახური • კომერციალიზაციის დეპარტამენტი • სამეცნიერო, სასწავლო და საექსპერტო ლაბორატორია	2019 წელი	• სტუ-ის შემოსავლებიდან 16500 ლარი 2019 წ	• კლასტერი „სწავლა-მეცნიერება-წარმოება“ შექმნა • ადამიანთა უსაფრთხოების დაცვა
	• “სახიფათო ნარჩენების” (საბურავები, პლასტმასეული, ნახერხი,	• სტუ-ის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი	2020	• სტუ-ის შემოსავლებიდან	• შექმნილი კლასტერი „სწავლა-

	გამოყენებული ზეთები) ეკოლოგიურად უსაფრთხო გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა იაფი ენერგომატარებლების და სამშენებლო მასალების მიღების მიზნით	“ეკოლოგიური დანადგარები”			მეცნიერება-წარმოება“ • ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება • მოზიდული თანხები
	• სტუ-ს და ბელორუსული ფირმა “MT3-холдинг”-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად ტრაქტორების და მისაბმელების წარმოების შექმნა	• MT3-холдинг • პერსპექტიული განვითარების სამსახური • მეცნიერების დეპარტამენტი	2018-2020	• MT3-холдинг	• შექმნილი კალსტერი „სწავლა-მეცნიერება-წარმოება“
	• სტუ-ს და ბელორუსული კომპანიის _ “SISბიზნეს სერვისის” ერთობლივი შპს “სტუ-სის” მიერ ლიფტების ერთობლივი საამწყობო წარმოების შექმნა, რომელიც ითვალისწინებს ლიფტების 65-70 %-ით დამზადების ლოკალიზაციას.	• შპს “სტუ-სის“ • პერსპექტიული განვითარების სამსახური • მეცნიერების დეპარტამენტი	2019-2020	• შპს SIS ბიზნეს სერვისი”	• შექმნილი კალსტერი „სწავლა-მეცნიერება-წარმოება“
<b>მიზანი #3 - სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვა</b>					
<u>ამოცანა 3.1</u> ყოველწლიური მისაღები კონტინენტის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა	• ფაკულტეტებზე აბიტურიენტებისათვის, სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისათვის საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა	• ფაკულტეტების დეკანატები	2018-2020	• არ საჭიროებს დაფინანსებას	• განხორციელებული აქტივობები
	• ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ადგილებისა და კონკურენტთა შედარებითი ანალიზის გაკეთება	• სწავლების დეპარტამენტი	2018-2020	• არ საჭიროებს დაფინანსებას	• ანალიზის შედეგების მიხედვით მისაღები კონტინენტის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა



	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ბაზრის მოთხოვნილებების შესწავლა “ღია კარის დღის” პრაქტიკის განვითარება თბილისისა და ქვეყნის რეგიონებში, მათ შორის სკოლებში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური</li> <li>• სწავლების დეპარტამენტი</li> </ul>	2019-2020	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუ-ის შემოსავლებიდან 20000 ლ 2019 წ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ბაზრის მოთხოვნების სტატისტიკა</li> <li>• ჩატარებული ღია კარის დღეები</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• კურსდამთავრებულთა A პროფესიით მუშაობის სტატისტიკის შედგენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ახალგაზრდობის დეპარტამენტი</li> </ul>	2018-2020	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაბამისი სტატისტიკა</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• უნივერსიტეტის პიარკომპანიის რეგულარული წარმოება მედია-სივრცეში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი</li> </ul>	2018-2020	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუ-ის შემოსავლებიდან 6900 ლ 2018 წ</li> <li>• 37600 ლ 2019 წ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაბამისი სტატისტიკა</li> </ul>
<p><u>ამოცანა 3.2</u> სტანდარტების შესაბამისად სტუდენტთა კონტიგენტის და ადამიანური და მატერიალური რესურსების თანაფარდობის სრულყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აკადემიური და დამხმარე პერსონალის რაოდენობრივი დაგეგმვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიცე რექტორი</li> <li>• ადმინისტრაციის ხელმძღვანელი</li> <li>• სწავლების დეპარტამენტი</li> </ul>	2018-2020	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აკადემიური და დამხმარე პერსონალის სტუდენტთა კონტიგენტთან თანაფარდობაში მოყვანა</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო და დამხმარე ფართობის გაფართოება და კეთილმოწყობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინფრასტრუქტურის მართვის და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური</li> <li>• ფაკულტეტების დეკანატები</li> </ul>	2018-2020	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო და დამხმარე ფართობის სტუდენტთა კონტიგენტთან და აკადემიურ პერსონალთან თანაფარდობაში მოყვანა</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო ინვენტარის (კომპიუტერები, ლაბორატორიული მოწყობილობები) აღწერა და განახლება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინფრასტრუქტურის მართვის და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური</li> </ul>	2018-2020	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ საჭიროებს დაფინანსებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო ინვენტარის სტუდენტთა კონტიგენტის თანაფარდობაში მოყვანა</li> </ul>

მიზანი #4 - ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდა ინფრასტრუქტურის და სასწავლო-სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებით					
<p>ამოცანა 4.1</p> <p>საბიბლიოთეკო მომსახურების მოდერნიზაცია და განახლება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საბიბლიოთეკო ფონდის განახლება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუ-ის ბიბლიოთეკა</li> </ul>	2018-2020	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუ-ის შემოსავლებიდან 92150 ლ2018 წ 135858 ლ2019 წ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შექმნილი ლიტერატურის რაოდენობა რომელიც გააუმჯობესებს თანამედროვე ლიტერატურით სტუდენტთა და თანამშრომელთა მოთხოვნებს როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური წიგნების სახით</li> <li>• განახლებული ლიტერატურის გამოყენების სტატისტიკა</li> <li>• გამოკოითხვის შედეგები</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• საბიბლიოთეკო ბეჭდური ფონდისათვის დაცვის ელექტრონული კოდის მინიჭება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუ-ის ბიბლიოთეკა</li> </ul>	2019	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუ-ის შემოსავლებიდან 10000 ლ2019 წ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ელექტრონული კოდების შექმნის შედეგად მიღებული შედეგები - მომსახურების გაუმჯობესება, კერძოთ წიგნის გაცემისა და ბიბლიოთეკაში აღრიცხვის სწრაფად მოგვარება</li> <li>• სტატისტიკური</li> </ul>

					მონაცემები
	<ul style="list-style-type: none"> <li>რარიტეტული წიგნების ცალკე საცავის მოწყობა და აღჭურვა თანამედროვე უსაფრთხოების საშუალებებით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუ-ის ბიბლიოთეკა</li> <li>ინფრასტრუქტურის მართვის და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური</li> </ul>	2020	სტუ-ის შემოსავლებიდან	<ul style="list-style-type: none"> <li>მოწყობილი საცავი, სადაც დაცული იქნება წიგნის შენახვის პირობები</li> </ul>
<u>ამოცანა 4.2</u> სასწავლო კორპუსებში სასწავლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპერიმენტალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების შექმნა	<ul style="list-style-type: none"> <li>მე-9 კორპუსში განთავსებული ინოვაციური ლაბორატორიის დამამთავრებელი სამუშაოების ჩატარება (ინტერნეტ და გაზ მომსახურება)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ინფრასტრუქტურის მართვის და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური</li> </ul>	2019	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუ-ს შემოსავლებიდან 4594272 ლ2018წ 1680287 ლ2019 წ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კორპუსის ექსპლუატაციაში მიღება</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>მცირე სიმძლავრის მზის და ქარის სასწავლო-საცდელი ელექტროსადგურის შექმნა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პერსპექტიული განვითარების სამსახური</li> <li>ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანატი</li> </ul>	2019-2020		<ul style="list-style-type: none"> <li>ლაბორატორიის ამოქმედება</li> </ul>
